I. სამაგისტრო პროგრამის დასახელება რუსეთისმცოდნეობა

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი რუსეთისმცოდნეობის მაგისტრი,

MA in Russian Studies

II. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი:

- სახელი, გვარი - დალი კანდელაკი
- სამეცნიერო ხარისხი, აკადემიური თანამდებობა - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კონტრაქტით)
- სამუშაო ადგილი - თსუ სასწავლო დეპარტამენტის სასწავლო პროცესის მართვის განყოფილების უფროსი
- საკონტაქტო მონაცემები - ტელ: 77-14-55 (ბინა), 22-11-17 (სამსახური),

  8 99 22-07-60 (მობ.); **e-mail**: dalikandelaki@rambler.ru.

III. პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

- ნებისმიერი სპეციალობის (სასურველია, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, სოციალურ-პოლიტიკური მეცნიერებათა, სამართალმცოდნეობის, ეკონომიკის) ბაკალავრის ხარისხი;
- რუსული ან ერთ-ერთი ევროპული ენის ცოდნა (B 1 დონე);
- კონკურსანტებს სპეციალობის გამოცდაზე ვთავაზობთ როგორც კონკრეტულ საკითხებს (სამი კონკრეტული საკითხი თითოეული 25 ქულა, ჯამში 75 ქულა), ასევე ზოგად კითხვარს (5 კითხვა თითოეული 5 ქულა), რომლითაც შემოწმდება მათი აზროვნებისა და თანამედროვე მოვლენებში (რუსეთთან მიმართებაში) წვდომის უნარი. გამოცდის მაქსიმალური ქულაა 100.

IV: სამაგისტრო პროგრამის ანალოგი:

1. http://www.postgraduate.leidenuniv.nl/programmes/ma_russian.jsp- ლაიდენის უნივერსიტეტი, ნიდერლანდები, მულტიდისციპლინარული სამაგისტრო პროგრამა;

2. http://www.ed.ac.uk/studying/undergraduate/finder/degree.html?id=3,48,R700 – ედინბურგის უნივერსიტეტი;

3. http://www.iub.edu/~reeiweb/index.shtml - ინდიანას უნივერსიტეტი;

4. http://ceres.georgetown.edu/ - ვაშინგტონი, აშშ;

5. http://www.bris.ac.uk/russian/postgrad/pgruss.html#track-a – ბრისტოლის უნივერსიტეტი, ინგლისი;

6. http://www.mcgill.ca/russian/ - კვებეკის უნივერსიტეტი, კანადა;

7. http://www3.uj.edu.pl/ISR/rosjoznawstwo/eng/eng.htm - კრაკოვის იაგაილოს სახ. უნივერსიტეტი, პოლონეთი;

8. http://www.wcupa.edu/_academics/sch_cas/academics.asp - პენსილვანია;

9. http://www.uni-muenchen.de/Studium/studienangebot/studiengaenge/studienfaecher/osteurop_/master/index.html - ლუდვიგ მაქსიმილიანის სახ. მიუნხენის უნივერსიტეტი, გერმანია;

10. http://studium.geschichte.hu-berlin.de/site/lang__de/mid__12774/ModeID__0/PageID__1748/5037/default.aspx - ჰუმბოლტის სახ. ბერლინის უნივერსიტეტი, გერმანია.

V. პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

მიზანი:

საქართველოში, კერძოდ კი, თსუ-ში ამგვარ სამაგისტრო პროგრამას დღემდე არ მოეძებნება ანალოგი. დარგის სინთეზურად სწავლება ან კვლევა სადღეისოდ უნივერსიტეტში არ ხდება. სწორედ ამ ხარვეზის შევსებას ისახავს მიზნად ჩვენს მიერ შემოთავაზებული სამაგისტრო პროგრამა.

სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელებას შეძლებენ ისეთი სტუდენტები, რომლებმაც მონოდარგობრივი მიმართულებით მიიღეს განათლება, ამიტომ

სწავლება მაგისტრატურაში უნდა წარიმართოს მულტიდისციპლინურიდან ინტერდისციპლინური პროგრამის მიმართულებით დისციპლინების პარალელური სწავლების გზით; შესწავლილი დისციპლინები შეავსებს ერთმანეთს შესაბამის პედაგოგიურ და მეთოდოლოგიურ გარემოში.

პროგრამის მიზანია კვალიფიციური მკვლევარების მომზადება რუსეთისმცოდნეობაში; საზოგადოებისთვის კონკურენტუნარიანი, სათანადო ცოდნითა და დამოუკიდებელი კვლევის უნარ-ჩვევებით აღჭურვილი კადრის შეთავაზება, რომელიც შესძლებს რუსეთის ისტორიის, პოლიტიკის, ეკონომიკის, სამართლის, კულტურის და საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებზე მუშაობას.

სასწავლო პროგრამა საინტერესო და სასარგებლო უნდა იყოს მაგისტრანტებისათვის მათი სამომავლო კარიერისა და ინტელექტუალური ზრდის თვალსაზრისით, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მოღვაწეობას საერთაშორისო სამართლისა და სოციალური მეცნიერებების სფეროში, დიპლომატიურ ასპარეზზე, განაგრძობენ. მაგისტრანტს უნდა ჩამოვუყალიბოთ ობიექტური, ჭეშმარიტად მეცნიერული და არა კონიუქტურული შეხედულება რუსეთზე, განსაკუთრებით, მეზობელ სახელმწიფოებთან მიმართებაში.

სწავლის შედეგი:

1. **ცოდნა და გაცნობიერება:**

- რუსეთისმცოდნეობის სფეროში ექნება უახლესი თეორიული და კვლევაზე დაფუძნებული ღრმა და სისტემური ცოდნა;

- შესძლებს მუშაობას საკითხებზე, რომლებიც ეხება რუსეთის ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამართლებრივ სტრუქტურებსა და ინსტიტუტებს;
- გააცნობიერებს რუსეთისმცოდნეობის მიმართულებისათვის სპეციფიკურ ეთიკურ პრობლემებს და შეძლებს ეთიკური დილემების გადაჭრას;
- შესძლებს რუსეთისმცოდნეობის მიმართულებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური მეთოდების ფლობას.

2. **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება/პრაქტიკული უნარები:**

- კომპეტენციის ფარგლებში განახორციელებს კვლევას სამეცნიერო ხელმძღვანელის დახმარებით, იმუშავებს აგრეთვე დამოუკიდებლად;

- შესძლებს კომპლექსური პრობლემების გადაჭრას დამოუკიდებლად;
- შესძლებს ამოცანების დაგეგმვას და განხორციელებას დამოუკიდებლად პროფესიულ დონეზე.
- დაუფლებული იქნება დარგის სპეციფიკურ მეთოდებს ექსპერტის დონეზე.

3. **კოგნიტური და მეთოდოლოგიური უნარები:**

- რუსეთის პოლიტიკის კრიტიკული ანალიზი და ინტერპრეტირება;
- რუსეთთან დაკავშირებული ზოგადი საკითხების ინტეპრეტირება ეროვნულ, რეგიონალურ და ადგილობრივ კონტექსტში;
- სხვადასხვა დისციპლინების (რუსეთის ისტორიია, რუსული ფილოსოფია, რუსეთის ეკონომიკი, რუსული სამართალი და ა. შ.) მეთოდოლოგიის ინტეგრირებულად გამოყენება;
- ინტერდისციპლინურ საკითხებზე მუშაობა;
- დარგის მულტიდისციპლინურობისა და დისციპლინებს შორის კავშირების აღქმა;

4. **საკომუნიკაციო უნარები:**

- კომუნიკაცია ქართულ, რუსულ და უცხოურ ენებზე შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით;
- აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებაში შეეძლება დამოუკიდებელი და კომპეტენტური კომუნიკაცია;

5. **საინფორმაციო კომუნიკაციების გამოყენების უნარი:**

- კომპიუტერული და ინტერნეტ-რესურსების ფლობა მონაცემების დამუშავებისას.
- საინფორმაციო ტექნოლოგიების, როგორც საკომუნიკაციო და სასწავლო ინსტრუმენტის გამოყენების უნარი.

დასაქმების სფერო:

1. საჯარო სექტორი და სამთავრობო ინსტიტუტები;
2. არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები;
3. პოლიტიკური ორგანიზაციები;
4. კერძო სექტორი და ბიზნეს სტრუქტურები;
5. საკონსულტაციო დაწესებულებები;

6. მედია და საინფორმაციო ცენტრები.

სწავლის გაგრძელების საშუალება : დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელება საქართველოსა თუ უცხოეთში რუსეთისმცოდნეობის ან კონკრეტული (ისტორია, ეკონომიკა, საერთაშორისო ურთიერთობები, პოლიტიკის მეცნიერებები) მიმართულებით.

VI. კვლევითი კომპონენტი

სამეცნიერო თემატიკა, რომლის ფარგლებში მაგისტრანტს შეეძლება სამაგისტრო ნაშრომის შესრულება:

- რუსეთთან დაკავშირებული თემატიკა ნებისმიერ სფეროში ისტორია, კულტურა, ეკონომიკა, სამართალი, პოლიტიკა, ფილოსოფია, საერთაშორისო ურთიერთობები და ა.შ. (უპირატესობა მიენიჭება ინტერდისციპლინარულ თემატიკას);
- რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების კვლევა;
- ცალკეული პრობლემების კვლევა ნებისმიერი სფეროდან.

ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები:

- ფაქტობრივი მასალის ფლობა;
- გადმოცემის თანმიმდევრულობა, არგუმენტაცია;
- კვლევისა და ანალიზის უნარი;
- სამეცნიერო საიხლე;
- ნაშრომის ტექნიკური, სტილისტური და გრამატიკული გამართულობა;
- ნაშრომის წარდგენა (პრეზენტაცია).